ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 აგვისტოს

სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ მომხს: გიორგი ჭყოიძე

2 . ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ მომხს: კახაბერ გოლუბიანი

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

3. ა(ა)იპ-სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსათვის დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა N 15-ში , ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე მარცხენა ფლიგელში მდებარე ორი ოთახის საერთო ფართით 31.7 კვ.მ .(ს/კ 36.01.33.046) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფუქტის ფორმით, ორი წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1 ივლისის N18 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნანა კიკნაძე

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 05 აგვისტოს სხდომის

ოქმი N 14

დაბა ხარაგაული 2019 წლის 05 აგვისტო

9 აპრილის . #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები : პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, ეკატერინე შველიძე, იამზე პაქსაშვილი, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, პავლე კიკალიშვილი, იულონ კოპაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ჯამბულ გამცემლიძე, გივი თავზარაშვილი, გივი ხიჯაკაძე, ზურაბ ხაჩიძე, თეიმურაზ ფცქიალაძე, დავით მაღლაფერიძე, აკაკი მაჭავარიანი, ქეთევან ზუმბაძე, თორნიკე ავალიშვილი, მიხეილ მაჭავარიანი.

სულ საკრებულოს 27 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენელი:

მაია ალავიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსი მუნიციპალური ქონებისა მართვის საკითხებში,

როინ გელაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უმცროსი სპეციალისტი,

კახაბერ გოლუბიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი,

ნანა კიკნაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის განყოფილების უფროსი,

ნინო მაღლაკელიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის საფინანსო - სახაზინო განყოფილების უფროსი

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე – ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის" ჟურნალისტი,

ლ. გოგოლაძე - გაზეთ „ ჩემი იმერეთის" რედაქტორი,

თ. ბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი,

ლ. ნიქაბაძე- ოპერატორი.

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი და კენჭის ყრაზე დადგა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი მიღებული იქნა (თან ერთვის).

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: როინ გელაშვილი

2 . ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3. ა(ა)იპ-სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსათვის დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა N 15-ში , ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე მარცხენა ფლიგელში მდებარე ორი ოთახის საერთო ფართით 31.7 კვ.მ .(ს/კ 36.01.33.046) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფუქტის ფორმით, ორი წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: მაია ალავიძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1 ივლისის N18 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნანა კიკნაძე

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უმცროსი სპეციალისტის როინ გელაშვილის ანგარიში - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა მან აღნიშნა, რომ საკითხი განვიხილეთ საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე, ანგარიში მომზადებულია კვალიფიციურად, სამსახური საქმიანობას აწარმოებს გეგმის მიხედვით, მათ მიერ შემოწმების შედეგებზე გაცემულია კომპეტენტური დასკვნები, კომისიის წევრებს მათი საქმიანობის შესახებ არ გამოუთქვამთ კრიტიკული შენიშვნები და სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასებაში კომისია იყო ერთსულოვანი, თუმცა სამწუხაროა, რომ მათ მიერ ცალკეული სამსახურებსა და ორგანიზაციებში აღმოჩენილ დარღვევებზე მერის მიერ რეაგირება არ მომხდარა.

ქ. ზუმბაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ სამსახურის უფროსს გიორგის უნდა ვენდოთ შემოწმების შედეგები დეტალურადაა აღწერილი ანგარიშში მტკივნეული არის ის, არ ითვალისწინებენ.

მ. ფხალაძემ აღნიშნა, რომ ცალკეულ შემთხვევებში სამსახურების უფლებამოსილებები კვეთენ ერთმანეთს, კარგი იქნება თუ დებულებები გადაიხედება

თ. ავალიშვილმა მომართა მომხსენებელს, შემოწმების შემდეგ, როდესაც ჩატარდა მონიტორინგი და ხარვეზი არ იყო გამოსწორებული თუ მიმართეთ მერს?

რ. გელაშვილმა უპასუხა, რომ ყველა დასკვნა ეგზავნება მუნიციპალიტეტის მერს.

პ. გოგოლაძემ უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამსახური მუშაობს კარგად და მადლობას ვუხდი ვაფასებ დადებითად.

თ. ფცქიალაძემ, მ. ჭიპაშვილმა, დ. კიკნაძემ სამსახურის საქმიანობა დადებითად შეაფასეს.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე -24

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 3

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ. გოლუბიანის ანგარიში - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

ო. ლურსმანაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ანგარიში განიხილა იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომაზე, ბევრი კითხვები დაისვა მომხსენებლის მიმართ შიდა აუდიტის მიერ სამსახურის საქმიანობის შემოწმების შედეგად აღმოჩენილ დარღვევებთან დაკავშირებით, გარკვეული დარღვევები გამოსწორებულია, ვაყენებთ წინადადებას, რომ სამსახურის საქმიანობა შეფასდეს დადებითად და მოხდეს სამსახურის საქმიანობის შუალედური ანგარიშის მოსმენა.

ლ. აბაშიძემ, მ. ფხალაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიაში შეტანილ წერილზე დღემდე პასუხი არ მიუღიათ და მოითხოვა განმარტება.

კ. გოლუბიანმა უპასუხა, რომ ასეთი შემთხვევები გვაქვს და ვცდილობთ გამოვასწოროთ.

მ. ბარბაქაძემ რეპლიკის სახით აღნიშნა, რომ კორესპონდენციებს ყურადღებას, რომ არ აქცევთ იქიდანაც ჩანს, რომ 7 კორესპონდენციაზე პასუხი არ მიგვიღია. დღეს სხდომაზე მოწვეული იყო მერი და ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, რატომ არ მოვიდნენ?

კ. გოლუბიანმა აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი იმყოფება ქ. თბილისში მივლინებაში ორი დღით, რაც შეეხება მერს ის ინფორმირებული იყო ამის შესახებ.

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ ანგარიში მშრალია და ვეთანხმები კოლეგების მოსაზრებას, აქ, რომ სამართლებრივ ხარვეზებთან გვქონდეს საქმე ეს ასე არ არის, ეს არის წმინდა ტექნიკური საკითხი, ნაწილი ხარვეზების გამოსწორებულია , ვაფასებ დადებითად.

ა. მაჭავარიანმა დასვა შეკითხვა გამოსწორდა მერიაში საქმიანობა, დადებითად რომ ვაფასებთ ადმინისტრაციული სამსახურის საქმიანობას? მიუხედავად იმისა, რომ შემოწმების მასალებიდან საკმაოდ მნიშვნელოვანი დარღვევებია დაფიქსირებული ადმინისტრაციული სამსახურის მისამართით. სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრის ჩატარება ვერ მოხერხდა საკრებულოს სხდომაზე ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარის თ. ავალიშვილის მიერ შექმნილი უწესრიგობის გამო, რაც გამოიწვია მერისა და ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის გამოუცხადებლობამ, რომლებიც მოწვეული იყვნენე დღის წესრიგის მე -3 საკითხის „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების შედეგების განხილვაში , მონაწილეობის მისაღებად. მდგომარეობის განმუხტვის მიზნით სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება 10 წუთით.

შესვენების დასრულების შემდეგ ჩატარდა კენჭის ყრა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმიანობის შეფასების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე -19

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 2

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება დღის წესრიგით გათვალისწინებული მე -

3 საკითხის განუხილველად დატოვების შესახებ და განმარტა, რომ მანამ სანამ ზემოთ აღნიშნული მერიის თანამდებობის პირები ვერ შეძლებენ საკრებულოს სხდომაზე დასწრებას და საკრებულოს წევრთა მოთხოვნის შესრულებას საკითხის განხილვაში მათი მონაწილეობის თაობაზე საკითხი არ იქნება განხილული და კენჭის ყრაზე დააყენა აღნიშნული წინადადება

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე -27

წინააღმდეგი 0

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსის ალავიძის ინფორმაცია საკითხზე - ა(ა)იპ-სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსათვის დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა N 15-ში , ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე მარცხენა ფლიგელში მდებარე ორი ოთახის საერთო ფართით 31.7 კვ.მ .(ს/კ 36.01.33.046) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფუქტის ფორმით, ორი წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ნ. კიკნაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1 ივლისის N18 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე(თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს დღის წესრიგით გათვალისწინებული განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე